ნათია ჯალაბაძე

მკვიდრი ხალხების საკითხი და ენერგოპროექტები საქართველოში

ბოლო პერიოდში საქართველოში დაგეგმილი ენერგოპროექტების განხორციელების მცდელობას ადგილობრივი მოსახლეობის პერმანენტული საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა. ეს განსაკუთრებით დიდი ჰესების მშენებლობას ეხებოდა, რომლის რეალიზაციაც უმეტესად ქვეყნის მაღალმთიან რეგიონებში იყო განზრახული. საპროტესტო აქციები, არც თუ იშვიათად, მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ სრულდებოდა, თუმცა ამას რიგი ენერგოპროექტების განხორციელების საკითხი დღის წესრიგიდან საბოლოოდ არ მოუხსნია. საქართველოში დიდი ჰესების მშენებლობას თავისი მომხრეები და მოწინააღმდეგეები ჰყავს, რომლებიც არგუმენტირებულად ცდილობენ დაამტკიცონ მათი კონკრეტულ რეგიონში შენების დადებითი და უარყოფითი შედეგები. მომხრეებისთვის უპირველესი არგუმენტი საქართველოსთვის ენერგოუსაფრთხოების და ენერგოდამოუკიდებლობის მოპოვებაა, რომ არაფერი ითქვას ადგილობრივი მოსახლეობის ყოფითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პერსპექტივაზე. მოწინააღმდეგები ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ კატასტროფას პროგნოზირებენ, რასაც საქართველოს კონკრეტული რეგიონის ყოფნა -არყოფნის საკითხთან მივყავართ; მაგრამ არც ერთი მხარე არ უარყოფს, რომ *ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის* ენერგოობიექტების შენება აუცილებელია. ამ საკითხების ანალიზი ჩვენი კომპეტენცია არ არის, თუმცა „ნენსკრაჰიდროსთან“ დაკავშირებულმა ვითარებამ, კერძოდ კი „მკვიდრი მოსახლეობის“ საკითხმა, ჰუმანიტარ მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამ პრობლემასთან უშუალოდ დააკავშირა.

„ნენსკრის ჰიდროელექტროსადგურის“პროექტის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ 2012 წელს გაჟღერდა; პროექტით დაგეგმილი იყო სვანეთში 280 მგვტ. დადგმული სიმძლავრის სადგურის და 125 მ სიმაღლის დიდი კაშხლის მშნებელობა მდინარეების – ნენსკრის და ნაკრის ხეობების ზედა ნაწილში[1]. 2015 წელს ოფიციალურად გამოცხადდა ჰესის მშენებლობა[2], რაც 2021 წლისთვის უნდა დასრულებულიყო; მას ახორციელებდა საქართველოს საპარტნიორო ფონდი (15%) და კორეული სახელმწიფო წყლის კომპანია „K Water“ (75%) ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) (10%) მხარდაჭერით.[3] მალევე მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო, რამაც პროექტის განხორციელების მოწინააღმდეგეთა პროტესტი გამოიწვია. აქედან მოყოლებული, სხვადასხვა ფორმით გამოხატულმა საპროტესტო გამოსვლებმა პერმანენტული სახე მიიღო, რაც, ამავდროულად, არა მხოლოდ ნენსაკრაჰესის, არამედ სვანეთში სხვა ენერგოსადგურების მშენებლობის წინააღმდეგაც იყო მიმართული. ეწყობოდა მიტინგები, იწერებოდა საჩივრები, 2016, 2018 წლებში გაიმართა სრულიად სვანეთის კრება ლალხორი; 2018 წელს სვანურმა ლალხორმა, რომელშიც სვანეთის თითქმის ყველა თემის წარმომადგენელი მონაწილეობდა, ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, მთელ სვანეთში ჰესების მშენებლობის, ოქროს

[1] ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში EBRD-ის პროექტის გასაჩივრების მექანიზმი საქმე 2018/08 ივლისი, 2020, გვ. 5. ხელმისაწვდომია: file:///C:/Users/User/Downloads/201808%20Nenskra%20Compliance%20Review%20Report%20-%20GEO.pdf

[2] ხელმისაწვდომია: https://www.youtube.com/watch?v=rqZ2SR8a4Zo&t=5s

[3] EBRD უზრუნველყოფს 214 მილიონ აშშ დოლარამდე სესხს და 15 მილიონ აშშ დოლარამდე პორტატულ სააქციო ინვესტიციის განხორციელებას. EBRD და ADB (აზიის განვითარების ბანკი) დამფინანსებელი ჯგუფის მთავარი ორგანიზატორები არიან.

წარმოებისა და ყველა, ბუნებისთვის, ადამიანის საცხოვრისის მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობისათვის მავნებელ, საზიანო და დამანგრეველი სამუშაოების ჩატარების აკრძალვის შესახებ. ლალხორმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს და მოითხოვა სვანების **მკვიდრ მოსახლეობად** აღიარება, რაც მათ მისცემდა ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონების შესაძლებლობას, ხოლო საერთაშორისო კანონმდებლობიდან გამომდინარე, მათთან შეთანხმების გარეშე, სვანეთში არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტი აღარ განხორციელდებოდა[4].

ნენსკრის კაშხლის მშენებლობის შეჩერების მოთხოვნით „მწვანე ალტერნატივის" ინიციატივით ლუქსემბურგში შედგა საპროტესტო აქცია (2019) რომელსაც მხარი დაუჭირა ევროკავშირის 96000-მდე მოქალაქემ. საერთაშორისო ბანკებს გადაეცა ევროპის მოსახლეობის მიერ ხელმოწერილი პეტიცია #StopNenskra, სადაც ისინი მიმართავდნენ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) პრეზიდენტებს, არ დაეფინანსებინათ საქართველოში დაგეგმილი დიდი ჰიდროელექტრო-სადგურის მშენებლობა და არ მოეწერათ ხელი სესხის კონტრაქტზე, რადგან ის ემუქრებოდა ქვეყნის ბიომრავალფეროვნებას, არ შეესაბამებოდა კანონმდებლობას და არღვევდა ადამიანის უფლებებს.[5]

2018 წელს, „ნენსკრა ჰიდროსთან" დაკავშირებით, სვანეთის ჭუბერის თემის წარმომადგენლებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა „მწვანე ალტენრატივამ" და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელმა(CEE Bankwatch Network) საქმის გამოძიების მოთხოვნით მიმართეს *პროექტის მთავარი დამფინანსებლების* – EBRD-ისა და EIB-ის პროექტის გასაჩივრების მექანიზმს (PCM). საჩივარში ნათქვამი იყო, რომ ბანკმა არ შეასრულა 2014 წლის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების პოლიტიკა (2014 ESP), ამ პოლიტიკის განხორციელების სტანდარტებთან (PR) მიმართებაში. საჩივარში 5 პუნქტად ჩამოყალიბებული იყო ის სტანდარტები რომლებიც მომჩივან მხარეს დარღვეულად მიაჩნდა; მათ შორის ერთ-ერთი პუნქტი პროექტის შედეგად დაზარალებული სვანური თემის, როგორც „მკვიდრი მოსახლეობის", არგანსაზღვრა იყო[6].

ამის შედეგად, *2020 წელს* გამოქვეყნდა „შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში", *სადაც დადგენილია* ბანკის შეუსაბამობა შემდეგთან დაკავშირებით: მკვიდრი მოსახლეობა; გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და საკითხების შეფასება (კუმულაციურ შედეგებთან, პროექტის ალტერნატივებსა და გენდერთან დაკავშირებით); მიწის შეძენა, იძულებითი განსახლება და ეკონომიკური გადაადგილება; კულტურული მემკვიდრეობა;

---

[4] მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი - სვანების ბრძოლა საცხოვრებელი გარემოსთვის, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/mkvidri-mosakhleobis-statusi-svanebis-brdzola-satskhovrebeli-garemostvis

[5] Manana Kochladze,The never ending saga of the Nenskra HPP,17 September, 2020, available at: https://bankwatch.org/blog/the-never-ending-saga-of-the-nenskra-hpp

[6] ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში EBRD-ის პროექტის გასაჩივრების მექანიზმი საქმე 2018/08 ივლისი, 2020, გვ. 5. ხელმისაწვდომია: file:///C:/Users/User/Downloads/201808%20Nenskra%20Compliance%20Review%20Report%20-%20GEO.pd

ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა.[7] *ნენსკრაჰესის მშენებლობის მოწინააღმდეგეთა მცდელობით პროექტის განხორციელება შეჩერდა.*

ტერმინებთან დაკავშირებული გაუგებრობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2018 წლის ლალხორის განცხადებაში ერთ-ერთი მოთხოვნა სვანების სვანეთის „მკვიდრ მოსახლეობად" აღიარება *იყო.* საქმეში ჩაუხედავი ადამიანისთვის, ერთი შეხედვით, ამაში უჩვეულო და გასაკვირი არაფერია, *რადგან სვანები ნამდვილად არიან საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული კუთხის – სვანეთის მკვიდრი (indigenous) მოსახლენი და მათი მოთხოვნაც სრულიად სამართლიანად ჟღერს. პეტიციაში ეს პუნქტი შემდეგნაირად არის ფორმულირებული:*

„ვადასტურებთ უტყუარ ისტორიულ ჭეშმარიტებას სვანების უძირძველეს ქართულ მოდგმად და ქართველი ერის ერთ-ერთ ფუძეტომად არსებობის შესახებ. სვანეთი და სვანები, სულ ცოტა, 55 საუკუნე ღირსეულად და ერთგულად მოჰყვება საქართველოს და ქართველი ერის მრავალათასწლოვან ისტორიას, რომ მთელი თავისი უხანგრძლივესი ისტორიული ყოფიერების განმავლობაში სვანები და სვანეთი ყოველთვის იყო, არის და სამომავლოდაც იქნება ქართველი ერისა და საქართველოს სისხლხორცეული, შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი. გამომდინარე აქედან, გამიზნულად ვუჭერთ მხარს სვანეთის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებასა და აღორძინებას კონკრეტული დარგების დაწინაურების მიმართულებით. ვაცხადებთ, რომ სვანები წარმოვადგენთ ძირძველ მკვიდრ, აბორიგენ, ავტოქთონურ მოსახლეობას, სვანეთში სვანეთზე ყოველმხრივი უპირატესობისა და პრიორიტეტულობის ლეგიტიმური უფლებამოსილებებით!

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოვითხოვთ სახელმწიფოსგან, გაეროსგან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სვანების ***მკვიდრ მოსახლეობად*** *აღიარებას. შესაბამისად, მოხდეს ჩვენი ტრადიციული და სათემო საკუთრების დაკანონება.*[8]"და ა.შ.

ნენსკრაჰიდროს პერიპეტიებში სწორედ ***მკვიდრი ხალხების (Indigenous people)*** და სვანების ურთიერთმიმართების საკითხი ერთგვარ მანიპულაციის ობიექტად და მეცნიერ-ექსპერტთა სერიოზული მსჯელობის საგნად იქცა. პირველ რიგში გაუგებრობას თავად ტერმინი ქმნის: ***indigenous*** *ქართულად მკვიდრს, ძირძველს, ადგილობრივს* ნიშნავს. გაუგებრობას კი ის იწვევს, *რომ* ***indigenous peoples (მკვიდრი ხალხები)*** *სათანადო ორგანიზაციების სამოქმედო დოკუმენტების ქართულენოვან ვერსიებში თარგმნილია და, შესაბამისად, ქართულ ოფიციალურ დოკუმენტებში წარმოდგენილია* ***მკვიდრ მოსახლეობად****. ასევე ქართველთა ლექსიკაშიც ის ამ უკანასკნელი ფორმით არის დამკვიდრებული.* ***მკვიდრი ხალხები*** *და* ***მკვიდრი მოსახლეობა*** *განსხვავებული კატეგორიის ცნებებია. სინამდვილეში, საქმე ეხება* ***მკვიდრ ხალხებს*** (***indigenous peoples***) *რაც* სოციო-პოლიტიკური *ტერმინია; ის წარმოადგენს სოციალურ ჯგუფს, რომელსაც თავისი სპეციფიკური მახასიათებლები გააჩნია. Indigenous people-ის უნივერსალური განმარტება არ გვაქვს, მაგრამ ამ ჯგუფს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე აღიარებს:*

---

[7] ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის შესაბამისობის მიმოხილვის ანგარიში EBRD-ის პროექტის გასაჩივრების მექანიზმი საქმე 2018/08 ივლისი, 2020, გვ. 7

[8] მ. ვარადაშვილი, სვანეთის თემთა შეკრება: საბოლოოდ ვკრძალავთ მთელს სვანეთში ჰესების მშენებლობას, 2018, ხელმისაწვდომია:https://netgazeti.ge/news/257573/

თვითიდენტიფიკაცია, უწყვეტი ისტორიული კავშირი მათ კოლონიზაციამდე და/ან მოახალშენეთა დამკვიდრებამდე არსებულ საზოგადოებებთან, კავშირები წინაპართა ტერიტორიებთან და რესურსებთან, განსხვავებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების და განსხვავებული ენის, კულტურის და მრწამსის ქონა.[9] *სხვანაირად რომ ვთქვათ, ეს კატეგორია აერთიანებს* კონკრეტული რეგიონის თავდაპირველ მცხოვრებთ, რომლებიც განსხვავდებიან ამ ტერიტორიაზე მოგვიანებით დასახლებული ჯგუფებისგან. მკვიდრ ხალხებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი ტრადიციები ან ადრეული კულტურის სხვა ნიშნები. სახელმწიფოში, სადაც ცხოვრობენ, ისინი პოლიტიკურად და კულტურულად ცალკე დგანან ეთნიკური უმრავლესობისაგან და თავიანთ თავს მათგან განასხვავებენ; დღეს ***indigenous peoples*** წარმოადგენს საზოგადოების არადომინანტურ ნაწილს, ხალხს, რომელმაც უნდა შეინარჩუნოს, განავითაროს და გადასცეს მომავალ თაობებს თავიანთ წინაპართა ტერიტორიები, ეთნიკური იდენტობა, როგორც მათი მუდმივი არსებობის საფუძველი.

ჯ. კიმლიკას პოზიციით: ***indigenous peoples*** მკვიდრი ხალხები არა მარტო ქმნიან განსხვავებულ კულტურებს, არამედ ისინი ქმნიან კულტურის სრულიად განსხვავებულ ფორმებს, განსხვავებულ „ცივილიზაციებს“, რომლებიც ფესვგადგმულია პრემოდერნული ცხოვრების წესში, და რომელიც საჭიროებს დაცვას მოდერნიზაციის, სეკულარიზაციის, ურბანიზაციის, და „ვესტერნიზაციის“ ზეწოლისაგან.[10]

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (WHO) *მკვიდრი ხალხებს* შემდეგნაირად განსაზღვრავს: *„საზოგადოებები, რომლებიც ცხოვრობენ განსხვავებულ გეოგრაფიულ ტრადიციულ საცხოვრებელ გარემოში ან წინაპართა ტერიტორიებზე, თავიანთ თავს განსხვავებული კულტურის მქონე ჯგუფის წევრებად თვლიან, არიან თანამედროვე სახელმწიფოს შექმნამდე და ამჟამინდელი საზღვრების დადგენამდე იმ მხარეში მცხოვრები ჯგუფების შთამომავლები; ისინი ჩვეულებრივ ინარჩუნებენ კულტურულ და სოციალურ იდენტობას, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ინსტიტუციებს, როგორც წესი, განცალკევებულნი არიან ძირითადი ან დომინანტური საზოგადოებისა თუ კულტურისგან“*[11].

როგორც ჯ. ბეკეტი აღნიშნავს, *„ძირძველი ხალხები არიან იმ მიწების თავდაპირველი მკვიდრნი, რომლებიც შემდგომში ახალმოსახლეებმა დაიკავეს, რომელთაგანაც ისინი გარკვეულწილად კულტურულად განსხვავებულები არიან და პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით უფრო დაბლა დგანან.“*“[12]

მსოფლიო ბანკის განმარტებით,კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონებში ძირძველი ხალხის იდენტიფიცირება შესაძლებელია სხვადასხვა ხარისხით წარმოდგენილი შემდეგი მახასიათებლებით:

---

[9] Reporter's Indigenous Terminology Guide. *The Native American Journalists Association*. available at https://web.archive.org/web/20181116050310/https:/www.naja.com/reporter-s-indigenous-terminology-guide/

[10] Will Kymlicka Review: Theorizing Indigenous Rights*, The University of Toronto Law Journal*, Vol. 49, No. 2 (Spring, 1999), pp. 281-293, pg. 289

[11] *"Indigenous populations". World Health Organization. Archived from the original on 9 March 2005. https://web.archive.org/web/20050309013537/http://www.who.int/topics/health_services_indigenous/en/*

[12] Beckett, J., 2015. Indigeneity. In: J.D. Wright, ed. *International encyclopedia of the social & behavioral sciences*. Oxford: Elsevier, 755–761

(ა) წინაპართა ტერიტორიებთან და ამ ტერიტორიების ბუნებრივ რესურსებთან მჭიდრო კავშირი;
(ბ) თვითიდენტიფიკაცია ცალკე კულტურულ ჯგუფთან და სხვების მიერ ამ ჯგუფის წევრებად აღიარება;
გ) ძირძველი ენა, რომელიც ხშირად განსხვავდება ოფიციალური ენისგან;
დ) ტრადიციული სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობა;
(ე) უპირატესად ნატურალური მეურნეობის წარმოება.[13]

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი, EBRD,ADB...) მიერ მიღებულ მკვიდრი ხალხების (*indigenous peoples)* განმარტებებში, მსოფლიო მოსახლეობის ეს კატეგორია ეთნიკურ ჯგუფად არის მოხსენიებული. ბანკების მსესხებელი ბევრი ქვეყნის ეროვნული კონსტიტუცია, წესდებები და შესაბამისი კანონმდებლობა შეიცავს კონკრეტულ განმარტებით პუნქტებს და სამართლებრივ ჩარჩოებს, რის საფუძველზედაც ძირძველი ხალხების იდენტიფიკაცია არის შესაძლებელი. საქართველოს კანონმდებლობა ამ ჯგუფს არ აღიარებს,[14] რადგან საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიაზე ამგვარი ეთნიკური ჯგუფი არ სახლობს.

მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც ინგლისურად ***local population***-ად ითარგმნება და ქართულ ოფიციალურ დოკუმენტებში ***indigenous peoples****-ის* შესატყვისად იხმარება, ამ უკანასკნელს არსობრივად არ შეესაბამება და სოციო-პოლიტიკური ტერმინი არ არის; ის შეიძლება უფრო მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილად ჩაითვალოს. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ჩანაცვლდა ***მკვიდრი ხალხების*** ცნება ტერმინ ***მკვიდრი მოსახლეობით,*** ეს უხარისხო თარგმანს უნდა დავაბრალოთ თუ ობიექტის დაბნევის შეგნებულ მცდელობას? ერთი კი ცხადია, რომ ამ შეუსაბამობამ მართლაც დააბნია საზოგადოების ნაწილი და არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რიგითი ქართველისთვის (უფრო კი, სვანისთვის) გაუგებარია, რატომ არ ანიჭებენ მათ „მკვიდრი მოსახლეობის“ სტატუსს, როდესაც სინამდვილეში ისინი მკვიდრი მოსახლენი არიან.

როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, „ჩვენთან სვანეთში ჩამოდის ხალხი, რაღაც ორგანიზაციიდან, და ავსებენ კითხვარებს. სვანებს ეკითხებიან, თქვენ ხართ მკვიდრიო? რა თქმა უნდა ვართო, ეუბნებიან; ჰოდა, სვანებიც ხელს უწერენ და ითხოვენ აღიარებას.“ (რესპონდენტი სვანეთიდან)

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ლალხორის პეტიციაში მოცემული განაცხადი: „სვანები წარმოვადგენთ ძირძველ მკვიდრ, აბორიგენ, ავტოქთონურ მოსახლეობას“ სრული ჭეშმარიტებაა. ხოლო ამ პეტიციის ინგლისურენოვან ვერსიაში, *მოსახლეობის შესატყვისად* ნახმარი *ხალხი ანუ:* „სვანები წარმოვადგენთ ძირძველ მკვიდრ, აბორიგენ, ავტოქთონ ხალხს“ და, შესაბამისად, სვანების მიერ მკვიდრ ხალხად (***indigenous people)*** აღიარების მოთხოვნა, არსობრივად შეუსაბამოა.

ალოგიკურად ჟღერს ლალხორის მოთხოვნაც, ვინაიდან თუ მათი ფორმულირებით: „სვანები უძირძველესი ქართული მოდგმა და ქართველი ერის ერთ-ერთ ფუძეტომია, თუ სვანეთი და სვანები, სულ ცოტა, 55 საუკუნე ღირსეულად და ერთგულად მოჰყვება

[13] The World Bank Operational ManuaL OD 4.20 Operational Directive, Indigenous Peoples p.1,ხელმისაწვდომია: https://www.ifc.org/wps/wcm/connect/4da94701-07cc-4df3-9798-947704a738d4/OD420_IndigenousPeoples.pdf?MOD=AJPERES&CVID=jqewORB

[14] ნენსკრაჰესი და მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი,მწვანე ალტერნატივა 2021, გვ.1.

საქართველოს და ქართველი ერის მრავალათასწლოვან ისტორიას, თუ მთელი თავისი უხანგრძლივესი ისტორიული ყოფიერების განმავლობაში სვანები და სვანეთი ყოველთვის იყო, არის და სამომავლოდაც იქნება ქართველი ერისა და საქართველოს სისხლხორცეული, შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი", მაშინ რის საფუძველზე ითხოვენ მათთვის „მკვიდრი ხალხის" სტატუსის მინიჭებას?!

ისმის კითხვა: რა ინტერესი ამოძრავებს ჰესების მშენებლობის მოწინააღმდეგე მხარეს, რომელიც სვანებისთვის „მკვიდრი ხალხის" სტატუსის მინიჭებას ითხოვს? საქმე იმაშია რომ, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ისე მსხვილ საფინანსო ორგნიზაციებს საკუთარი სამოქმედო პოლიტიკა აქვთ *მკვიდრი ხალხების* მიმართ. მსოფლიო ბანკის პოლიტიკის თანახმად, „ეს ხალხი საჭიროებს სამართლებრივ დაცვას, რადგან გულუბრყვილონი არიან და მათი უდანაშაულობის, სიღარიბისა და ჩამორჩენილობის გამო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მოსდგამთ, არაკეთილსინდისიერი ადამიანების ტაქტიკის მსხვერპლნი ხდებიან და განიცდიან მათგან ექსპლუატაციას ."[15]

2007 წელს გაერთიანებული ერების გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია მკვიდრი ხალხების უფლებების შესახებ, რაც შემდგომ გათვალისწინებულ იქნა ზემოთ ხსენებული და სხვა მსგავსი ორგანიზაციების პოლიტიკის დოკუმენტებში.

46 პუნქტიან დეკლარაციაში გაწერილია ის უფლებები, რაც საერთაშორისო სამართლით ამ კატეგორიის ჯგუფს ენიჭება. კერძოდ, *მკვიდრ ხალხს* აქვს თვითგამორკვევის უფლება, რის საფუძველზედაც ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და თავისუფლად ეწევიან თავიანთ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებას; სარგებლობენ რა თვითგამორკვევის უფლებით, მათ აქვთ ავტონომია ან დამოუკიდებლობა ისეთ საკითხებში, რაც ეხება მათ შიდა და ადგილობრივ საქმიანობას, აგრეთვე მათი ავტონომიური ფუნქციების დაფინანსების გზებსა და საშუალებებს; ძირძველ ხალხებს უფლება აქვთ შეინარჩუნონ და გააძლიერონ თავიანთი განსხვავებული პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ინსტიტუტები, თუმცა ინარჩუნებენ უფლებას, სურვილისამებრ სრული მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. ძირძველ ხალხებს აქვთ უფლება შექმნან საკუთარი მედია თავიანთ ენებზე, დაარსონ და აკონტროლონ, სწავლებისა და სწავლის მათი კულტურული მეთოდების შესაბამისი, მშობლიურ ენაზე მომუშავე საგანმანათლებლო სისტემები და დაწესებულებები; ასევე, უფლებამოსილნი არიან, ფლობდნენ, გამოიყენონ, განავითარონ და გააკონტროლონ მიწები, ტერიტორიები და რესურსები, რომელიც მათ ეკუთვნით ტრადიციული საკუთრების ან სხვა ტრადიციული საქმიანობის ან გამოყენების საფუძველზე, აგრეთვე, ის, რაც მათ სხვა გზით აქვთ შეძენილი.სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ მიწების, ტერიტორიებისა და რესურსების იურიდიულ აღიარებასა და დაცვას. ასეთი აღიარება უნდა მოხდეს შესაბამისი მკვიდრი ხალხის ადათ-წესების, ტრადიციების და მიწათმფლობელობის სისტემების სათანადო პატივისცემით, და ა.შ.[16]

ამდენად, საერთაშორისო სამართლით *მკვიდრ ხალხებს* მთელი რიგი უფლებები აქვთ მინიჭებული; იმ შემთხვევაში, თუ სვანები მიიღებენ დამოუკიდებელი ერთეულის სტატუსს,

---

[15] Indigenous Peoples Policy Framework, 9/1/2018, გვ.17, ხელმისაწვდომია: https://documents1.worldbank.org/curated/en/443781553590695529/pdf/Indigenous-Peoples-Policy-Framework.pdf

[16] United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples, Published by the United Nations, March 2008.available at: https://www.un.org/esa/socdev/unpfii/documents/DRIPS_en.pdf

მაშინ ისინი ისარგებლებენ ამ სოციალური ჯგუფის ყველა უფლებით: პირველ რიგში, ექნებათ თავიანთ მფლობელობაში არსებული რესურსების თავად განკარგვის საშუალება. გამოდის, რომ *მკვიდრ ხალხად* აღიარებით, სვანები თავიანთ სასარგებლოდ გადაჭრიან მათთვის პრობლემურ საკითხებს, ისინი შეძლებენ საკუთარი პოლიტიკა გაატარონ, რაც კონკრეტულ შემთხვევაში ჰესების მშენებლობის შეჩერებას გულისხმობს, ზოგადად კი ყოველგვარი საქმიანობისას, რაც საფრთხეს შეუქმნის სვანების თვითმყოფადობას.

სვანებისთვის *მკვიდრი ხალხების* სტატუსის მინიჭების მოთხოვნამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა წარმოშვა; ერთნი სვანების სეპარატიზმზე ალაპარაკდნენ, რომ თითქოს ამით „სვანები უარს აცხადებენ ან რაიმე სახით აკნინებენ საკუთარ ქართველობას. მეორენი კი ამ ყველაფერს სვანებისთვის, საქართველოს, საკუთარი სამშობლოს შიგნით, საკუთარი საცხოვრებელი გარემოს დაცვის, მათი გამორჩეული წეს-ჩეულებების, ტრადიციების, ცხოვრების წესის, ენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების ინსტრუმენტად მიიჩნევენ, რომლისთვისაც სახელმწიფომ თანამედროვე ეკონომიკური განვითარების მოდელში სათანადო ადგილი ვერ მოძებნა“.[17]

რამდენად სამართლიანი და მეცნიერულად გამართლებულია სვანებისთვის აღნიშნული სტატუსის მინიჭება, ეს ცალკე საკითხია და ამას ქვემოთ შევეხები. მაგრამ აქ არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაც სვანთა აღნიშნულ კატეგორიაში მოქცევით, ჩვენი სახელმწიფოსთვის ახალი საგარეო საფრთხეების წარმოქმნის პერსპექტივას აჩენს. ეს პრობლემა მესამე ძალაა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მიმართ თავისი გეოპოლიტიკური ინტერესები გააჩნია და სასაზღვრო რეგიონების მიტაცებაზეა ორიენტირებული.

სვანები და *მკვიდრი ხალხების* სტატუსი

გეოგრაფიულად მეტად მრავალფეროვან საქართველოს ტერიტორიაზე დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონაა წარმოდგენილი, დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მარადი თოვლისა და მყინვარების ზონით. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიულმა და კლიმატურმა არაერთგვაროვნებამ ცალკეული ეთნოგრაფიული კუთხის ფორმირება განაპირობა; განსხვავებული ბუნებრივი გარემო ხელს უწყობდა კონკრეტული მხარისათვის მისადაგებული კულტურული ნიშნების და თავისებურებების ჩამოყალიბებას, რაც თავს იჩენდა, როგორც დასახლების და საცხოვრებლის ტიპის, ისე სამოსის, კვების, სამეურნეო საქმიანობის, დაკრძალვის, რელიგიურ და სხვა სოციოკულტურულ ტრადიციათა სპეციფიკაში. მაგალითად, საუკუნეთა მანძილზე ყალიბდებოდა სხვადასხვა სამეურნეო დარგები და მრავალფეროვანი სამეურნეო ტრადიციები, რაც ქვეყნის ბარის, მთისწინეთისა და მთის სამეურნეო ზონების თავისებურებებს შეესაბამებოდა.[18] მაღალმთიან ზოლში, სადაც მიწათმოქმედებისთვის არასახარბიელო პირობებია, მესაქონლეობა უფრო მეტად განვითარდა (ხევსურეთი, ხევი, მთიულეთი გუდამაყარი, სვანეთი,თუშეთი...), ხოლო ბარში (ქართლი, კახეთი, იმერეთი...), პირიქით, წამყვან მიმართულებას მიწათმოქმედება წარმოადგენს. სამხრეთ საქართველოსთვის, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთისთვის, რეგიონის რელიეფიდან და ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე,

---

[17] მკვიდრი მოსახლეობის სტატუსი - სვანების ბრძოლა საცხოვრებელი გარემოსთვის

[18] მ.ბურღული, ალ.დაუშვილი, ნ. ჯალაბაძე, ლ.მელიქიშვილი, ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები,თბილისი, უნივერსალი 2018, გვ.3

ტიპურია ტერასული მიწათმოქმედება და ა.შ. ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოს (საზღვრისპირა მდებარეობა, მცირემიწიანობა, ზვავისა და მეწყრის საშიშროება...) შეესაბამება საქართველოს სხვადასხვა კუთხის არქიტექტურა: ტრადიციულად, მაღალმთიან კუთხეებში (სვანეთში, ხევსურეთში, თუშეთში, ხევში) კოშკური კულტურა ვითარდება, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ზეგანზე გვხვდება ერდოიან გვირგვინიანი და მიწურბანიანი, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი ოდა სახლები, ფაცხა და ა.შ.

სვანებმა, როგორც ქართველთა ერთ-ერთმა ეთნოგრაფიულმა ჯგუფმა, საერთო ქართულ კულტურას სპეციფიკური, ორიგინალური მახასიათებლები შესძინეს, რომლებიც მათი განსახლების ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური თავისებურებებით იყო შეპირობებული. ზოგადი ქართული კულტურის სვანური ინვარიანტების არსებობა არანაირად არ იქცა სვანების ცალკე, დამოუკიდებელ ხალხად ფორმირების პირობად, რისი აღიარებაც დღეს ჩვენი საზოგადოების ერთ ჯგუფს სვანეთში ენერგოობიექტების მშენებლობის შეჩერების გზად ესახება; პირიქით, მან ქართული კულტურა უფრო მეტად გაამრავალფეროვნა და გაამდიდრა.

სვანებისთვის *indigenous people*-ის სტატუსის მინიჭების მოთხოვნის ერთ-ერთ საბაბად სვანური ენის არსებობა იქცა; ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, ფორმალური ენისგან განსხვავებული მკვიდრი ხალხის საოჯახო ენა საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკის დოკუმენტებში წარმოდგენილია, როგორც ჯგუფის *მკვიდრ ხალხ*ებად აღიარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი.

ენათმეცნიერებს ჯერ კიდევ საბოლოოდ არ გადაუჭრიათ საკითხი, სვანური ენა ქართულის დიალექტია თუ ერთ-ერთია იმ მონათესავე ენებიდან, რომლებიც პროტო-ენიდან წარმოქმნილ ქართველურ ენათა ჯგუფში შედიან. სპეციალისტთა ერთი ნაწილის მოსაზრებით, სვანური ენა, მეგრულთან, ლაზურთან და ქართულთან ერთად, მიეკუთვნება სამხრეთ-კავკასიურ ენათა ჯგუფს; ამ ენათაგან სალიტერატურო (წიგნის) ენა ქართულია, დანარჩენები კი უ(და)მწერლობო ენებია. ისინი ლინგვისტური თვალსაზრისით ჩვეულებრივი ენებია, ფუნქციონალურად კი ქართული ენის დიალექტებს უტოლდებიან; თითოეული ერთეული (სვანური, მეგრული და ლაზური) დროთა განმავლობაში იმდენად დაშორდა ფუძე-ენას, რომ დამოუკიდებელ ენად ჩამოყალიბდა, თუმცა სვანებისთვის, მეგრელებისთვის და ლაზებისთვის ისევე, როგორც დანარჩენი ქართველებისთვის, საერთო ეროვნული, სალიტერატურო, ოფიციალური ენა ყოველთვის იყო, არის და იქნება უძველესი დამწერლობისა და მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქართული ენა.[19]

მეორე ვარაუდის თანახმად, მეგრულ-ჭანური და სვანური, დიალექტებია (ტ. ფუტკარაძე,თ. გვანცელაძე, მ. ტაბიძე და სხვ.) ტ. ფუტკარაძის პოზიციით, მეგრული, სვანური, ლაზური, როგორც ენათა კვალიფიკაცია საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა ყოველგვარი კრიტერიუმების გარეშე; მეგრელი, სვანი, ლაზი, სხვა კუთხის წარმომადგენელ ქართველებთან ერთად არიან მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი სამწიგნობრო კულტურის, კერძოდ, ქართული სამწიგნობრო ენის შემოქმედნი. ეთნოსს/ერს აქვს ენა, ეთნოსის/ერის ნაწილს კი დიალექტი.[20]

---

[19] ქ.მარგიანი, სვანური ენის გრამატიკა, თემა I, თბ, 2018, გვ.1

[20] ტ. ფუტკარაძე. ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთაისი 2008, გვ. 26-63

ბ. ჯორბენაძის მოსაზრებით: "ენათმეცნიერული თვალსაზრისით, მეგრულ-ჭანური და სვანური ქართულის მოძმე ენებია, მაგრამ ეთნიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, მათ იგივე სტატუსი აქვთ, რაც დიალექტებს.[21]

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსი აღიარებული იყო ყველა სამეფო-სამთავროში უგამონაკლისოდ და იგი ამავდროულად ქართველთა იდენტობის განმსაზღვრელი მარკერიც იყო. ენათმეცნიერებს ქართველური ენობრივი მრავალფეროვნება ისტორიული და თანამედროვე საქართველოს არამატერიალური მემკვიდრეობის უნიკალურ ქვაკუთხედად მიაჩნიათ, რომელიც ქართველთა გამორჩეული სამეტყველო კოდებით, დიალექტებით არის მიმოფენილი. *„ქართული, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ენა, კოლხური (იგივე მეგრულ-ლაზური) და სვანური სამი ქართველური ენობრივი ქვესისტემა, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს, მოიცავენ სრულიად საქართველოს, როგორც ისტორიულს, ისე თანამედროვეს. არქაული პერიოდიდან ქართული ენა იყო ყველა ქართული კუთხის (მათ შორის, აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთის, ლაზეთის) სახელმწიფო ენა. ამ ენაზე აღესრულებოდა ღვთისმსახურება როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული), ქართული იყო ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკის, კულტურის, განათლებისა და ხელოვნების ენა. მთელს ქვეყანაში არ არსებობდა სფერო/დარგი, სადაც არ ფუნქციონირებდა ქართული ენა. გამომდინარე ენის მასშტაბური გავრცელებიდან, ქართულ ენას დროთა განმავლობაში გაუჩნდა განსხვავებული ქვესისტემები ქართული ენის მრავალრიცხოვანი დიალექტები..“[22] იმავე ავტორებთან ვკითხულობთ: „ამასთან, სვანური ქართველური ენობრივი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მეტად მნიშვნელოვანი ლინგვისტური წარმომადგენელია. ფასდაუდებელია არქაიზმებით გამორჩეული სვანური ენის მონაცემთა როლი ქართველური ენების ისტორიულ-შედარებითი კვლევისა და არქეტიპთა რეკონსტრუქციისათვის, რადგანაც სტრუქტურულად სვანური საკმაოდ ახლოს დგას საერთოქართველურ ფუძეენასთან; მისი რთული ფონემატური სისტემა, გრამატიკული თავისებურებანი და დიალექტური ნაირგვარობა განსაკუთრებით - ფასეულია ზოგადლინგვისტური თვალსაზრისითაც.* [23]

ისტორიულად, ქართულ ენას, როგორც რელიგიის ენას, ქართველური ტომების ენობრივად შემკვრელ-მაკონსოლიდირებლის ფუნქციაც ეკისრებოდა. სვანები არასოდეს არ იყვნენ მოწყვეტილნი საერთო ქართულ რეალობას, ეროვნულ ფესვებს. ისინი ისეთივე მემკვიდრეები და შემოქმედნი არიან ქართული ლიტერატურისა, როგორც დანარჩენი კუთხის წარმომადგენლები. სვანური ენა გამოიყენებოდა მხოლოდ სამეტყველო (მოსმენისა და ლაპარაკის) ფუნქციით, ხოლო სხვა სამეტყველო ფუნქციების (წერა, კითხვა) "განსახორციელებლად" ბუნებრივად გამოიყენებოდა ქართული - ეკლესიის, ოფიციალურ-საქმიანი ენა[24].

რ. თოფჩიშვილის პოზიციით, *„სვანებს ისეთივე წვლილი აქვთ შეტანილი ერთიანი ქართული კულტურის შექმნაში, როგორც საქართველოს დანარჩენი ეთნოგრაფიული ერთეულების წარმომადგენლებს. მიუხედავად იმისა, რომ სვანეთის მკვიდრნი ოჯახებში ერთ-ერთი ქართველურ ენაზე,სვანურად მეტყველებდნენ, დღემდე შემორჩენილი ყველა საისტორიო საბუთი სვანეთში ქართულ ენაზეა შესრულებული... ისტორიულად ყველა სვანმა სვანურ მეტყველებასთან ერთად ქართული ენაც იცოდა. ამას მათ ქრისტიანული*

---

[21] ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, მეცნიერება, თბილისი1989, გვ.36.

[22] m. ჩუხუა, ნ. ანთელავა,მ.მაგომედოვი, „კავკასიის ხალხები, კულტურები, ენები. I. ავტოქთონი მოსახლეობა“, თბილისი 2023, გვ11.

[23] იქვე, გვ.31.

[24] იქვე, გვ. ??

სარწმუნოებაც ავალდებულებდა, რადგან საღვთისმეტყველო წიგნების გამოყენება მხოლოდ ქართულ ენაზე შეეძლოთ. ... ისინი ყოველთვის თავს გაიაზრებდნენ საერთო ქართველი ერის (ნაციის) შემადგენელ ნაწილად. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია და საერთო ქართული ერთობის შეგნების გამომხატველია XI ს-ის "სვანური ხატის" ერთი წარწერა: "ადიდენ მეფენი ბაგრატოანნი". სვანური სოფლის მიერ ამოჭრილი ეს წარწერა სხვა, სვანეთშივე შექმნილ საბუთთან ერთად, რომელშიც ლოცვაა აღვლენილი "ერთობილი საქართველოს" სიძლიერისა და კეთილდღეობისათვის, საკმაოდ ადრინდელი ტრადიციის მქონეა. როგორც მეგრელებისათვის, ისე სვანებისა და აფხაზებისათვის, სახელმწიფო, სალიტერატურო და საღვთისმეტყველო. ენა ყოველთვის ქართული ენა იყო და მათ ისეთივე წვლილი ჰქონდათ შეტანილი საერთო ქართულ კულტურაში, როგორც სხვა ქართული ეთნოგრაფიული მხარეების წარმომადგენლებს.“[25]

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში ბესარიონ ნიჟარაძე წერდა: *„სვანური ნამდვილად ქართულია, მხოლოდ აქა-იქ შეცვლილია, მაგრამ ზოგიერთები ვერ შეჰრიგებიან ამ აზრს და გაიძახიან, სვანები სულ სხვა ხალხიაო! ნეტავ ვიცოდე, ვისთვის ან რისთვისაა საჭირო ის დაჟინება და სვანების გასხვისტომება".. სვანეთში ღვთის დიდება ძველთაგანვე ქართულს ენაზედ სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს. რომელ მათთვის უცხო ენას შეეძლო – ქრისტიანობის დაცვა ამ მივარდნილს ქვეყანაში, თუ არა, ისევ ქართულსა, რომელიც სვანებს დედაენად მიაჩნიათ?!".*[26]

აღსანიშნავია, რომ ზოგადად სვანური ფაქტორით და, შესაბამისად, სვანური ენით მანიპულირება მეფის რუსეთის პერიოდიდან მომდინარეობს, რომელიც საგანგებოდ შეეცადა სვანეთის, როგორც საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი ბურჯის, მოშლას; ტ. ფუტკარაძე ხაზს უსვამს, რომ *„XIX – საუკუნეში რუსეთისთვის მეტად აქტუალური იყო სვანეთში არსებული კავკასიონის უღელტეხილები; ამიტომაც იმპერია შეეცადა არამხოლოდ აქაური ქართველობის ფიზიკურ დამორჩილებას, არამედ გადაბირებას და ცნობიერ გადაგვარებას; კერძოდ: სასულიერო პირების ფორმით მთაში ასული იმპერიის ემისრები ქადაგებდნენ, რომ სვანები ქართველები არ არიან, რომ მათი დედაენა არის არა ქართული, არამედ სვანური; შესაბამისად დაიწყეს კიდეც სახარების თარგმნა ერთ-ერთი - სვანური კილოს ბაზაზე, მაგრამ მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი ქართველობა იოლად მიხვდა დამპყრობლის მზაკვრობას: მტერი სვანებს ართმევდა მრავალსაუკუნოვან მწიგნობრულ დედაენას — ისტორიულ კულტურას, უკარგავდა სახელმწიფოებრივ წარსულს და ვითარცა ველურებს, XIX ს. ბოლოს უქმნიდა ანბანს და უთარგმნიდა სახარებას“.*

ტ.ფუტკარაძე იმავე ნაშრომში ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული პრობლემა დღესაც აქტუალურია, რამდენადაც *„ახლაც არაიშვიათია სხვა ქართველებისგან სვანების გამიჯვნის მცდელობა, რომ ახლაც აქტიურობენ ქართველობის ენობრივ-ეთნიკურად დაშლის მოსურნენი, ახლაც ცდილობენ ქართველურ კილოებზე თარგმნონ წმინდა წერილი, რათა ამ კილოების სამწიგნობრო ენებად გამოცხადებით სამწიგნობრო წარსული წაართვან სვანებს, ლაზებს, მეგრელებს და ამ გზით დაშალონ ჩვენი ერი. შევნიშნავთ იმასაც რომ, ქართულ მასმედიაშიც და საეჭვო ღირებულების სამეცნიე რო პროდუქციაშიც არაიშვიათად, შეგნებუ-*

[25] რ. თოფჩიშვილი, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, თბილისი 2017, გვ.228.

[26] ბ. ნიჟარაძე, რა ენაზედ ადიდებდნენ და ადიდებენ სვანები ღმერთსა“, გაზეთი ივერია, 4 თებერვალი, 28, 1904.

ლად გამოიყენება ისეთი არაადეკვატური შესიტყვებები, როგორიცაა: სვანები – უმწიგნობრო ენის მქონე ხალხი, (...)სვანი ეროვნება, სვანური კულტურა, სვანური ეთნოსი,.. და სხვ.[27]

ანთროპოლოგების დასკვნით, **სვანების** ადგილი კავკასიის ანთროპოლოგიურ რუკაზე, რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვნად კავკასიონის მორფოლოგიური ტიპის მატარებელ ჯგუფთა შორისაა. სვანების ქართველობაზე მეტყველებს მათი მორფოლოგიური და გენეტიკური ნიშნები. ხოლო მათთვის დამახასიათებელი ანთროპოლოგიური ნიშნები, სხვადასხვა დოზითა და შეფარდებით, მიმოფანტულია საქართველოს თანამედროვე მოსახლეობაში, რაც მათში უძველესი საერთო ფენის არსებობის მაჩვენებელია, ანუ სვანები ისეთივე ქართველები არიან, როგორც საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობა.[28]

საისტორიო წყაროებით და განათხარი არქეოლოგიური მასალით დასტურდება, **რომ** ანტიკურ პერიოდში და ადრეულ შუა საუკუნეებში სვანეთის ტერიტორიაზე გადიოდა, როგორც ჩრდილო კავკასიისკენ, ასევე, შავი ზღვისაკენ მიმავალი სავაჭრო გზა: კოდორის ხეობის გავლით მოგზაურს ადვილად შეეძლო მიეღწია შავი ზღვის სანაპირომდე, სადაც ჯერ კიდევ ბერძნული კოლონიზაციის დროს აშენებული სავაჭრო ფორტები ეგულებოდა. აქედან კი გახსნილი იყო საზღვაო გზა როგორც ცენტრალური ევროპისაკენ (დასავლეთით), ასევე ბიზანტიისაკენ (სამხრეთით) და შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე მცხოვრები ხალხებისაკენ . ამ გზას, როგორც სავაჭრო და სამხედრო პოტენციალის მქონეს, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. მე-6 საუკუნის ბოლომდე, ამ გზაზე კონტროლის მოსაპოვებლად იბრძოდნენ სპარსეთის და ბიზანტიის სახელმწიფოები[29]

ნუმიზმატების შეფასებით, ენგურის ზემო წელზე მცხოვრები მთიელების და საერთოდ ამ რეგიონის როლი და მნიშვნელობა არ შემოიფარგლება მხოლოდ მათი გეოგრაფიულად უსაფრთხო მდებარეობით. სვანეთში აღმოჩენილი ადგილობრივი და უცხოური ფული, ადასტურებს, რომ ისინი მუდმივ კავშირში არიან ქვეყნის ბართან და გარე სამყაროსთან.[30]

მონეტის მოჭრის უფლება, როგორც წესი სახელმწიფოს, ან სხვა რომელიმე პოლიტიკური ორგანოს კომპეტენციაა, ამიტომაც მონეტა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საბუთია. ფული ქვეყნის სახელმწიფოებრიობის საფუძველი და, პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროა მისი პოლიტიკის, ეკონომიკისა და კულტურის ისტორიის გასაშუქებლად. ადგილობრივი და უცხოური მონეტების არსებობა იმის უტყუარი საბუთია, რომ **სვანეთი სტრატეგიულ რეგიონს წარმოადგენდა და აქტიურად იყო ჩართული ქვეყნის საყოველთაო ფულად მიმოქცევაში.** სვანეთში დაცული ნუმიზმატიკური კოლექციების

---

[27] ტ.ფუტკარაძე, სვანები, საცხოვრისი, დედაენა,დიალექტი,წიგნში: სვანეთის ისტორიის ფურცლები, თბილისი 2011,გვ.41-50/გვ.47

[28] ბითაძე ლ., ჭითანავა დ., ლალიაშვილი შ., ზუბიაშვილი თ., შენგელია რ. სვანები კავკასიის ანთროპოლოგიურ რუკაზე. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (კავკასიური ცივილიზაცია: ინტერდისციპლინარული კვლევები), მესტია, 2015, გვ.31-33

[29] გ.გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბილისი 1973; გ.ათანელიშვილი გიორგი. სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში: 562-590 წწ. – თბილისი 1959, გვ. 69-72

[30] მ. პატარიძე,სვანეთის ნუმიზმატიკური საგანძური : პოლიტიკურ-ეკონიმიკური და ეთნოლოგიურ-კონფესიური ასპექტები (ძვ.წ. V- ახ.წ. XVIII სს), თბილისი 2020, გვ.162-167

ქრონოლოგია ძვ. წ. V ს-ის II ნახევარში მოჭრილი „კოლხური თეთრით“ იწყება. სვანეთში კოლხური თეთრის აღმოჩენა უტყუარი საბუთია იმისა, რომ ეს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარე ამ დროიდან ქვეყნის ცხოველ ფულად-სასაქონლო ურთიერთობაში იყო ჩართული.

ნუმიზმატიკურ მასალასთან ერთად ანტიკური გლიპტიკური ნაწარმის გამოჩენა სვანეთში, კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში, კერძოდ, რომაულ სამყაროსთან ურთიერთობებში, სვანეთი, როგორც კოლხეთის ერთ-ერთი ორგანული ნაწილი, აქტიურად მონაწილეობდა.[31]

სამეცნიერო ლიტერატურაში „ხალხის“ ცნება ორი ძირითადი მიმართულებით განიხილება - პოლიტიკური და ეთნო-კულტურული. პირველი თვალსაზრისით, სიტყვა ხალხი "ერის"(nation) სინონიმია, შესაბამისად ქართველი ხალხი, იგივე ქართველი ერია, ხოლო სვანი არის ერთი ხალხის, ქართველების, ქართველი ერის და ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილი და არა ცალკე ხალხი. საერთაშორისო სამართლის ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რომელიმე ხალხისადმი, ერისადმი მიკუთვნილობა გულისხმობს გარკვეული ისტორიული, კულტურული და პრაქტიკული კავშირების არსებობას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სვანების, როგორც ქართველი ერის განუყოფელი ნაწილის სტატუსს. კულტურულ-ისტორიული, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით და, რაც მთავარია, თვითშეგნებით, ისინი ქართული ეთნიკური იდენტობის მატარებელნი არიან. ამიტომ არის, როდესაც ნებისმიერი კუთხის შვილს საქართველოს საზღვრებს გარეთ ჰკითხავენ, სადაური ხარო? ის აუცილებლად უპასუხებს რომ ქართველია. ამ შეკითხვაზე მხოლოდ ქართველს ან თვით საქართველოში შეიძლება უპასუხონ, რომ მეგრელია, სვანი ან იმერელი და.ა.შ.

დასკვნა

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოში დიდი ჰესების მშენებლობის პროექტების მიმართ საზოგადოებაში ძირითადად ორი განსხვავებული პოზიცია დაფიქსირდა. ჰესების მომხრეებს,და უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებას, ამ პროექტების განხორციელება სახელმწიფოს ენერგოდამოუკიდებლობისა და ენერგოუსაფრთხოებისთვის სასიცოცლოდ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ. საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ დიდი ჰესების (კონკრეტულ შემთხვევაში, ნენსკრაჰესის) აშენება რეგიონის ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ და ეთნო-კულტურულ ინფრასტრუქტურას დააზიანებს და მათი შეჩერებისთვის საფუძვლიან არგუმენტებს ეძიებს. თავისი პოზიციის გასამყარებლად და მიზნის მისაღწევად ამ ჯგუფს სვანებისთვის „მკვიდრი ხალხების“ სტატუსის მინიჭება ერთ-ერთ გამოსავლად ესახება; მკვიდრი ხალხები სარგებლობენ გააერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მინიჭებული განსაკუთრებული უფლებებით, ხოლო სვანების *მკვიდრ ხალხად* აღიარებით, მათ ექნებათ უფლება თავიანთი პოლიტიკა გაატარონ დამოუკიდებლად და კონკრეტულ შემთხვევაში უარი თქვან და შეაჩერონ თავიანთ ტერიტორიაზე მიმდინარე მათთვის არასასურველი საქმიანობა.

მეცნიერთა მიერ დამტკიცებულია, რომ სვანებისთვის მკვიდრი ხალხების სტატუსის მინიჭება ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს მოკლებულია. საოჯახო ენის გარდა, სვანები არაფრით არ განსხვავდებიან საქართველოს სხვა კუთხეების მკვიდრთაგან, რომელთაც მათ

[31]. მ. პატრიძე , დასახ. ნაშრომი, იქვე.

მსგავსად სპეციფიკური ლოკალური სოციო-კულტურული მახასიათებლები გააჩნიათ.სვანი ისეთივე ქართველია, როგორც მეგრელი, ქართლელი, ხევსური, იმერელი, რაჭველი, და საქართველოს სხვა ეთნოგრაფიიული კუთხის წარმომადგენელი.

მიგვაჩნია, რომ მართებული იქნება ქართულ ლექსიკაში *indigenous people(s)*-ის შესატყვისად დამკვიდრდეს ტერმინი – *'ინდიგენი ხალხ(ებ)ი'* და არა მკვიდრი მოსახლეობა და შესაბამის ქართულ დოკუმენტებში *მკვიდრი მოსახლეობა ინდიგენი ხალხ(ებ)ით* ჩანაცვლდეს, რაც საფუძველშივე გამორიცხავს ტერმინებით მანიპულირების შესაძლებლობას და სხვადასხვა პოლიტიკური, ფინანსური და პირადი ინტერესებით მოქმედ ჯგუფებს არ მისცემს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის საშუალებას.